



KA100196671295316

საქართველო, თბილისი, 0162 ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ა; ტელ: 223 02 03; 223 50 06; ფაქსი: 229 20 49;
49a Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia; www.msy.gov.ge / pr@msy.gov.ge

№06/3446

09 / დეკემბერი / 2016 წ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ გიორგი კვიციანი

ბატონო გიორგი,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიშს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი

ტარიელ ხეჩიკაშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დებულებების შესრულების თაობაზე.

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრამდე ინფორმაციას).

2016 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სულ რეგისტრირებულია 75 განცხადება, მათ შორის 26 განცხადება - ფიზიკური პირისგან, ხოლო 49 განცხადება - იურიდიული პირისგან.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში (10.12.2015-10.12.2016) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დაცვით დაკმაყოფილებულია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 75 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, მათ შორის 2015 წლის ანგარიშში ასახული 1 განცხადება, რომელზეც მიმდინარეობდა საქმისწარმოება. რეგისტრირებული 75 განცხადებიდან პასუხი არ გაეცა 1-ს რადგან განმცხადებელმა თავად მოითხოვა განცხადების გაუქმება.

ხოლო მოცემული ეტაპისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სამინისტროში შემოსულ 1 განცხადებაზე ამჟამად მიმდინარეობს საქმისწარმოება.

უარი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს არცერთი განმცხადებლისათვის არ გაუცია.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 განმცხადებლის მოთხოვნა, რადგან მათ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ნაწილი წარმოადგენდა პიროვნების მაიდენტიფიცირებელ პერსონალურ მონაცემს, რომელთა გაცემაც მესამე პირის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა.

„მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ“ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არცერთ განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაუხდია.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემა ხორციელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.